პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 35 (96) | ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1954 წ. გამოცემის მესამე წელი | ფასი 20 კაპ.

## უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფორგანიზაციის XIV კონფერენცია

11-12 ნოემბერს ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფორგანიზაციის XIV კონფერენცია, რომელმაც მოისმინა პროფკომის თავმჯდომარის ამხ. კ. კერვალიშვილის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. გეგიას საანგარიშო მოხსენებები პროფკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ და აირჩია სტუდენტთა პროფკომის ახალი შემადგენლობა.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტთა პროფკომმა რექტორატისა და პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით გარკვეული მუშაობა გასწია სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, აკადემიური მოსწრების ამაღლების, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცების მიზნით. ამჟამად უნივერსიტეტში 1 039 ფრიადოსანი და 2 225 კარგოსანი სტუდენტი სწავლობს. გაუმჯობესდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა. უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-16 სამეცნიერო კონფერენციაზე გატანილი იქნა 228 მოხსენება, რომელთა უმრავლესობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

კულტმასობრივი მუშაობის გაფართოებისა და სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით პროფკომმა ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი. 183 სტუდენტმა დაისვენა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, 198 სტუდენტს მიეცა ერთდროული ფულადი დახმარება 32 875 მან. რაოდენობით. სისტემატურად ტარდებოდა ექსკურსიები და კოლექტიური სვლები კინო-თეატრებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის სოფლებში მივლინებულ იქნენ სტუდენტთა აგიტბრიგადები კონცერტებისა და ლექცია-მოხსენებების ჩასატარებლად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა V საუნივერსიტეტო სპარტაკიადა, ალპინიადა და სხვა ფიზკულტურული ღონისძიებანი. სპორტულ სექციებში 2800-მდე სტუდენტია გაერთიანებული.

კონფერენციაზე მხილებულ იქნა პროფკავშირულ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანიც. კერძოდ, აღინიშნა, რომ სუსტად იყო დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტთა შორის, უპასუხისმგებლო და შეუფერებელი სტუდენტები ზოგჯერ ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანოებშიც კი ხვდებოდნენ, რაც ზიანს აყენებდა პროფკავშირული მუშაობის უკეთ წარმართვის საქმეს.

სათანადო სიმაღლეზე არ იდგა პროფკომის მიერ მიღებულ დადგენილებათა პრაქტიკული განხორციელებისა და მათი შესრულების შემოწმების საქმე. სავსებით დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება ის შედეგებიც, რაც მოპოვებულია სტუდენტთა აკადემიური წარმატების საქმეში. დღეისათვის უნივერსიტეტში 633 სტუდენტია აკადემიურად ჩამორჩენილი, სტუდენტთა პროფკომს კი არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია მათთან.

კამათში გამოსული დელეგატების უმრავლესობამ ყურადღება გაამახვილა სტუდენტთა საყოფაცხოვრებო საკითხებზე. მათ აღნიშნეს, რომ სტუდქალაქში, სადაც უნივერსიტეტის 840-ზე მეტი სტუდენტი ცხოვრობს, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები. სტუდენტებს აკლიათ აუცილებელი საჭიროების ინვენტარი. საცხოვრებელი ოთახების გარკვეული ნაწილი გარეშე პირების მუდმივ სარგებლობაშია. ცუდად მუშაობს სტუდქალაქის სასადილო (გამგე მატარიძე), ხოლო აბანო სანახევროდ უმოქმედობაშია. სტუდქალაქში არსებული მდგომარეობა პროფკომმა მრავალჯერ შეამოწმა და განიხილა თავის სხდომებზე, მაგრამ მისი გამოსწორების საქმე ადგილიდან ჯერ არ დაძრულა.

კამათში გამოსულმა დელეგატებმა გამოავლინეს კულტმასობრივი მუშაობის დარგში არსებული ხარვეზები. მათ აღნიშნეს, რომ ჩვენი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები სისტემატურად არ მუშაობენ მთელი წლის განმავლობაში, რის გამოც ადგილი აქვს იერიშობანას მათს მუშაობაში. ხშირად ამ მუშაობის ნაყოფი ჩვენი სტუდენტობისათვის ფაქტიურად მიუწვდომელია და ეს მაშინ, როცა უნივერსიტეტის ძალებით ბევრი საღამო-კონცერტი იმართება უნივერსიტეტის კედლებს გარეთ. მხატვრული ხელმძღვანელის ამხ. გ. პატარიძის სუსტი მუშაობის შედეგად ფაქტიურად ჩაშლილია ქართული დრამატული წრის მუშაობა. სუსტად მუშაობს სასულე ორკესტრიც (ხელმძღვანელი ი. კინცაძე).

კონფერენცია კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა უფრო ღრმა და გამიზნული იქნებოდა, საანგარიშო მოხსენება ფაქტების მშრალ აღრიცხვაზე კი არა, მათს საფუძვლიან ანალიზზე რომ ყოფილიყო აგებული.

კონფერენციამ სტუდენტთა პროფკომის მუშაობა განვლილ საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად შეაფასა. არჩეულ იქნა პროფკომის ახალი შემადგენლობა: ც. კობახიძე, ა. შკოლნიკი, კ. კერვალიშვილი, ა. შუგაროვი, გ. ცხადიაშვილი, ვ. დევბუაძე, ა. ბარბაქაძე, გ. მოისწრაფიშვილი, გ. ხვიტია, ბ. შაშილაშვილი, გ. ფარემუზაშვილი, გ. მაისურაძე, ლ. ბურჭულაძე. სარევიზიო კომისია არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: შ. მჭედლიშვილი, ო. ველიაშვილი და ქ. რევია.

შემდგა ახლად არჩეული პროფკომის პირველი სხდომა. სხდომამ პროფკომის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. კ. კერვალიშვილი, თავმჯდომარის მოადგილეებად — ამხ. გ. ცხადიაშვილი და ა. შუგაროვი. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. შ. მჭედლიშვილი.

## სამეცნიერო სესია

22-27 ნოემბერს ჩატარდება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37 წლისთავისადმი.

სესიაზე წაკითხული იქნება 90-მდე მოხსენება მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. სესია გაიხსნება 22 ნოემბერს, დღის 3 საათზე, სააქტო დარბაზში.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

## მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ

კომუნისტური პარტია თავისი პროგრამის შესაბამისად ეწევა მატერიალისტური მსოფლმხედველობის მეცნიერულ-საგანმანათლებლო პროპაგანდას, რომლის მიზანია მშრომელი მასების შეგნების განუწყვეტელი ამაღლება და მათი თანდათანობით განთავისუფლება რელიგიური ცრურწმენათაგან. ამასთან პარტიას მუდამ საჭიროდ მიაჩნდა მორწმუნეთა გრძნობის ყოველგვარი შეურაცხყოფის თავიდან აცილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ხელთ აქვს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ ბოლო ხანს მთელ რიგ ადგილებში მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებულია უხეში შეცდომები.

ბუნებათმეცნიერული ცოდნის პროპაგანდის დარგში სისტემატური გულმოდგინე მუშაობის გაშლისა და რელიგიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის ნაცვლად, ცალკეულ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში, აგრეთვე ზოგიერთი ლექტორისა და მომხსენებლის გამოსვლებში დაშვებულია შეურაცხმყოფელი გამოხდომები სამღვდელოებისა და მორწმუნეთა წინააღმდეგ, რომლებიც რელიგიურ წესებს ასრულებენ. არის შემთხვევები, როცა პრესის ფურცლებზე და პროპაგანდისტთა სიტყვიერ გამოსვლებში რელიგიური კულტების ზოგიერთი მსახური და მორწმუნე სრულიად უსაფუძვლოდ გამოჰყავთ ადამიანებად, რომლებიც არ არიან პოლიტიკური ნდობის ღირსნი. მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა პირებმა დაუშვეს რელიგიურ გაერთიანებათა და ჯგუფთა საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევის, აგრეთვე სამღვდელოებისადმი უხეში მოპყრობის შემთხვევები.

ამგვარი შეცდომები ანტირელიგიურ პროპაგანდაში ძირეულად ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის პროგრამას და პოლიტიკას რელიგიისა და მორწმუნეთა მიმართ, არღვევს პარტიის არაერთგზის მითითებას, რომ შეუწყნარებელია მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არასწორად მიაჩნია, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია თავს არიდებს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საქმის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, არ ზრუნავს პროპაგანდისტთა კადრების გულდასმით შერჩევისათვის. პრესაში გამოსვლას, ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვას ხშირად ავალებენ მეცნიერებაში და ათეისტური პროპაგანდის საკითხებში უმეცარ ადამიანებს, ხოლო ზოგჯერ მოხალტურეებსაც, რომლებმაც იციან, უმთავრესად, მხოლოდ ანეკდოტები და ზღაპრები ეკლესიის მსახურთა შესახებ. სტატიების ავტორების, ლექტორების, მომხსენებლების შერჩევისადმი ასეთი უპასუხისმგებლო მიდგომა და ის, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის სწორად წარმართვას, სერიოზულ ზიანს აყენებს მოსახლეობაში წარმოებულ აღმზრდელობითს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

დაევალოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და ყველა პარტიულ ორგანიზაციას, გადაჭრით აღმოფხვრან შეცდომები ათეისტურ პროპაგანდაში და ამიერიდან არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მორწმუნეთა და ეკლესიის მსახურთა გრძნობების რაიმე შეურაცხყოფა, აგრეთვე ეკლესიის საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევა. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ეკლესიის, სამღვდელოების, მორწმუნე მოქალაქეთა მიმართ შეურაცხმყოფელი მოქმედება შეუთავსებელია პარტიისა და სახელმწიფოს ხაზთან მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საქმეში და ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, რომელიც სინდისის თავისუფლებას ანიჭებს საბჭოთა მოქალაქეებს.

სსრ კავშირში ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური პირობების ღრმა ცვლილებების, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის გამარჯვების შედეგად, მეცნიერების წარმატებით განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის კულტურის დონის საერთო ზრდის შედეგად საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობა უკვე დიდი ხანია განთავისუფლდა რელიგიური გადმონაშთებისაგან, განუზომლად გაიზარდა მშრომელთა შეგნება. ამასთან ერთად არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ არიან ისეთი მოქალაქენიც, რომლებიც, აქტიურად მონაწილეობენ რა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და პატიოსნად იხდიან რა სამშობლოს წინაშე თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას, ჯერ კიდევ სხვადასხვაგვარი რელიგიური რწმენის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. პარტია მუდამ მოითხოვდა და მომავალშიც მოითხოვს ამ მორწმუნე ადამიანებისადმი გულისხმიერ, ყურადღებით მოპყრობას. მით უფრო სულელური და ხაზიანია, რომ ესა თუ ის საბჭოთა მოქალაქე პოლიტიკურად საეჭვოდ მივიჩნიოთ მისი რელიგიური რწმენის გამო. ღრმა, მოთმინებითი, უნარიანად მოწყობილი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა მორწმუნეთა შორის ხელს შეუწყობს მათ იმაში, რომ ბოლოს და ბოლოს განთავისუფლდნენ რელიგიურ ცრურწმენათაგან. პირიქით, მორწმუნეთა და ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ ყოველგვარ ადმინისტრაციულ ღონისძიებებსა და შეურაცხმყოფელ გამოხდომებს შეუძლია მოიტანოს მხოლოდ ზიანი, განამტკიცოს და კიდევ გააძლიეროს მათ რელიგიური ცრურწმენანი.

მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ შეიძლება გავაიგივოთ ეკლესიის მდგომარეობა სოციალიზმის ქვეყანაში და ეკლესიის მდგომარეობა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეკლესია დასაყრდენი და იარაღია გაბატონებული კლასებისა, რომლებიც იყენებენ მას მშრომელთა დამონების მიზნით. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ცალკეულ ეკლესიის მსახურთ კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც შეუძლიათ პოლიტიკის მთელ რიგ ძირითად საკითხებში დადგნენ და კიდევაც დგანან მშრომელთა თვალსაზრისზე. მაგრამ ეკლესიის ეს მსახურნი თავიანთი ქცევის გამო, რომელიც ეწინააღმდეგება ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს, განიცდიან, როგორც წესი, ყოველგვარ დევნას კაპიტალისტური ქვეყნების ეკლესიისა და მთავრობის წრეების მხრივ.

მეფის რუსეთში ეკლესია ერთგულად ემსახურებოდა თვითმპყრობელობას, მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ამართლებდა ხალხის მასების სასტიკ ექსპლოატაციას, მხარს უჭერდა ექსპლოატატორებს მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აგრეთვე ცნობილია, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე, სამოქალაქო ომის წლებში და უფრო გვიან ბევრი რელიგიური ორგანიზაცია და სამღვდელოების ჯგუფებს მტრულად ეჭირათ თავი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამასთან დაკავშირებით კულტის ცალკეულ მსახურთ სახელმწიფო სამართალში აძლევდა არა რელიგიური, არამედ მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ და ხორციელდებოდა შინაგანი კონტრრევოლუციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის საამებლად. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოციალისტური სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ შეიცავდა ეკლესიის იმ რეაქციონერ წარმომადგენელთა წინააღმდეგ ბრძოლასაც, რომლებიც ეწეოდნენ საბჭოთა ხალხისადმი მტრულ საქმიანობას. ამჟამად სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად შერყეულია რელიგიის სოციალური ფესვები, მოსპობილია ის ბაზა, რომელსაც ეკლესია ემყარებოდა. ეკლესიის მსახურთა უმრავლესობასაც, როგორც ფაქტები მოწმობენ, ახლა ლოიალური პოზიციები უკავია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამიტომ ბრძოლა რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ ამჟამად უნდა მივიჩნიოთ მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის იდეოლოგიურ ბრძოლად ანტიმეცნიერული, რელიგიური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ.

ანტირელიგიურ პროპაგანდაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებამ არ უნდა გამოიწვიოს შესუსტება მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისა, რომელიც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილია და მიზნად ისახავს მეცნიერული, მატერიალისტური ცოდნის გავრცელებას მასებში და მორწმუნე ადამიანთა განთავისუფლებას რელიგიურ ცრურწმენათა გავლენისაგან.

თუ სახელმწიფოს მიმართ რელიგია კერძო საქმეა და ამიტომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, კომუნისტურ პარტიას, რომელიც ერთადერთ სწორ მეცნიერულ მსოფლმხედველობას — მარქსიზმ-ლენინიზმსა და მის თეორიულ საფუძველს — დიალექტიკურ მატერიალიზმს ეყრდნობა, — არ შეუძლია გულგრილად, ნეიტრალურად მოეკიდოს რელიგიას, როგორც ისეთ იდეოლოგიას, რომელსაც მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.

ჩვენს პარტიას მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია თავის აუცილებელ მოვალეობად, მთელი ძალებით და საშუალებებით შეუწყოს ხელი საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. მხოლოდ თანამედროვე მოწინავე მეცნიერების საფუძველზე შეიძლება ბუნების სიმდიდრის ყოველმხრივი და სრული გამოყენება მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის. მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე შეიძლება მივაღწიოთ ახალ დიდ აღმავლობას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარება, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და ამით მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და ავამაღლოთ მისი კულტურული დონე. ამის საფუძველზე, კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს ზრდის მეცნიერული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით და იდეურ ბრძოლას ეწევა რელიგიური იდეოლოგიის, როგორც ანტიმეცნიერული იდეოლოგიის წინააღმდეგ. აშკარაა მეცნიერებისა და რელიგიის ძირეული წინააღმდეგობა. თუ მეცნიერება ემყარება ფაქტებს, მეცნიერულ ექსპერიმენტს და ზუსტად შემოწმებულ, ცხოვრებით დადასტურებულ დასკვნებს, ყოველი რელიგია ემყარება მარტო ბიბლიისა და სხვა გადმოცემებს, ფანტასტიკურ ჭორებს. თანამედროვე მეცნიერული მიღწევები ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში დამაჯერებლად აბათილებენ რელიგიურ დოგმებს. მეცნიერება ვერ შეურიგდება რელიგიურ, მოგონილ წარმოდგენებს ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების შესახებ, ამიტომ იგი შეუთავსებელია რელიგიასთან. მეცნიერება ეხმარება კაცობრიობას იმაში, რომ სულ უფრო ღრმად შეიცნოს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, მეცნიერება ხელს უწყობს ბუნების ძალების ჩაყენებას ადა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

## მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ

(დასასრული)

მიანის სამსახურში, ადამიანის შეგნების ამაღლებასა და კულტურის ზრდას. რელიგია კი აბნელებს ადამიანის შეგნებას, განუმზადებს მას პასიურობას ბუნების ძალების წინაშე, ბოჭავს მის შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, პარტიას საჭიროდ მიაჩნია წარმოებდეს ღრმა სისტემატური მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა, მაგრამ ამასთან დაშვებულ არ უნდა იქნას მორწმუნეთა, აგრეთვე კულტის მსახურთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას საფუძვლად უნდა დაედოს პოპულარული ახსნა-განმარტება ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა, ისეთი საკითხებისა, როგორიც არის სამყაროს აღნაგობა, სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობა დედამიწაზე, მიღწევები ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა მეცნიერებათა დარგში, რომლებიც ადასტურებენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაზე მატერიალისტურ შეხედულებათა სისწორეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის წარმოება მოითხოვს უაღრესად ყურადღებითს, მზრუნველობითს მოპყრობას ლექტორების, მომხსენებლების, ანტირელიგიურ თემებზე სტატიათა და ბროშურათა ავტორების შერჩევისადმი. ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან მეცნიერულად განსაკუთრებით კვალიფიციური კადრები: სკოლების მასწავლებლები, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, ექიმები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები და სხვები, რომლებსაც უნარი შესწევთ მატერიალისტური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან დამაჯერებლად განმარტონ რელიგიის ანტიმეცნიერული ხასიათი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ დადებითი შედეგები აღმზრდელობითს მუშაობაში, რომლის მიზანია რელიგიური გადმონაშთების დაძლევა, შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ შემდგომ ამაღლდება მთელი ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მშრომელთა შორის, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კულტურის სასახლეების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, ლექტორიუმების, კულტურისა და დასვენების პარკების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. ამიტომ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ძირეულად გააუმჯობესონ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მოსახლეობაში და ამით მიაღწიონ მშრომელთა კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი.

1954 წ. 10 ნოემბერი („პრავდა", 11/XI).



სურათზე: უნივერსიტეტის ორანჟერეა. ბოტანიკის კაბინეტის ლაბორანტი მ. ლორთქიფანიძე აწარმოებს დაკვირვებას დაავადებულ მცენარეებზე.

ფოტო გ. სამხონაძისა

## კარგი ღონისძიება

იურიდიულ ფაკულტეტზე სამოქალაქო სამართლისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დარგობრივი ეკონომიკის სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა ამასწინათ მოაწყეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი მიძღვნილი გაერთიანებული კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებანი: 1. მუშათა და გლეხთა კავშირი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყარო (მომხსენებელი იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი გ. ახალაია). 2. სკკპ ცკ-ის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა (მომხსენებელი ეკონომიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ა. სულთანიშვილი). 3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება საბჭოთა კავშირში (მომხსენებელი იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი გ. იობიძე).

სამივე მოხსენება მაღალ დონეზე იყო მომზადებული. მომხსენებლებმა საკმაო ფაქტებისა და სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით ნათელყვეს სკკპ ცკ-ის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობა. ილაპარაკეს იმაზე, თუ რა აღმავლობას განიცდის ჩვენი სოფლის მეურნეობა აღნიშნულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების შედეგად.

კონფერენციაზე, რომელსაც იურიდიული და ეკონომიური ფაკულტეტის საკმაოდ ბევრი სტუდენტი დაესწრო, მოხსენებების ირგვლივ საქმიანი კამათი გაიმართა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ორივე ფაკულტეტის სტუდენტებმა: ქ. ფირფილაშვილმა, ს. მაკარაძემ, ა. კობალაძემ, ნ. მაღრაძემ და სხვ.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა დოცენტმა ი. მრევლიშვილმა.

დ. ციციაძე

საანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტიულ ორგანიზაციებში

## იმსჯელეს ნაკლოვანებებზე

12 ნოემბერს ჩატარდა ისტორიის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელმაც ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

მომხსენებელმა, ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ცხადიაშვილმა აღნიშნა, რომ პარტიული ბიურო სერიოზულ ყურადღებას აქცევდა შინაპარტიულ მუშაობას და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის საქმეს.

ფაკულტეტს გარკვეული მიღწევები აქვს სტუდენტთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. გაიზარდა ლექტორთა მომთხოვნელობა სტუდენტთა ცოდნის შეფასების დროს.

ფაკულტეტის პარტბიურო დამაკმაყოფილებელ მუშაობას ეწეოდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს, რაც გამოწვეულია დეკანატის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების შეუთანხმებელი მუშაობით. ხშირია სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენები, რამაც ზოგიერთ კურსზე მასობრივი ხასიათი მიიღო.

სტუდენტთა დიდი ნაწილი მოუმზადებელი ცხადდება საგამოცდო სესიებზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ 50 სტუდენტმა საგაზაფხულო სესიებზე სუსტი შეფასება მიიღო. როგორც დოც. ი. ტაბაღუამ აღნიშნა, სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამადაც სუსტად ემზადება ზამთრის სესიებისათვის.

კრებაზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა. ასპ. ო. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტთა სამეცნიერო წრეების სხდომებზე ნაკლები რაოდენობით იკითხება მოხსენებები თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე. საქართველოს ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თემატიკა საქართველოს ფეოდალური წარსულის ამსახველი საკითხებით არის გადატვირთული, ხოლო სსრკ ხალხთა ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თემატიკა ნაკლებ კონკრეტულია.

ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ კურსის პარტორგები, ისინი ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისადმი. საანგარიშო მოხსენებაში მკაცრად იქნა გაკრიტიკებული პარტორგების კ. ჟორჟოლიანის, მ. კიკაჩეიშვილის და მ. არჩემაშვილის მუშაობა.

კომუნისტებმა—შ. მესხიამ და ა. სურგულაძემ სამართლიანად უსაყვედურეს პარტბიუროს კათედრებისადმი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმდინარეობისადმი უყურადღებო დამოკიდებულებისათვის.

კრების მონაწილენი მოელოდნენ, რომ საქართველოს ისტორიის კათედრის ყოფილი პარტორგი შ. მესხია თავის გამოსვლაში შეეხებოდა კათედრის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, მაგრამ მან მთელი თავისი სიტყვა მხოლოდ მიღწევების აღნიშვნას მიუძღვნა.

ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციას მთელი რიგი ნაკლოვანებანი გააჩნია მუშაობაში, რაზედაც სამართლიანად მიუთითა მომხსენებელმა. მოსალოდნელი იყო, რომ ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი ამხ. მ. შეყრილაძე თავის გამოსვლაში შეეხებოდა ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს და კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობას კრიტიკულად განიხილავდა, მაგრამ მან რატომღაც სცადა არაობიექტური მიზეზებით გაემართლებინა ალკკ ორგანიზაციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

კრებამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა პარტბიუროს მუშაობა, აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ნ. შველიძე

## საჭიროა მეტი ვიმუშაოთ

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელმა, პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ფუთურიძემ ილაპარაკა პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისა და მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის ბრძოლის საქმეში. საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტზე ჩატარებული იქნა 14 მოხსენება თეორიულსა და სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე გარჩეულ იქნა 4 ახლადგამოსული წიგნი.

პარტბიურო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის გამოვლინებისა და ალმოფხვრის საკითხს, ახლა შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლური ენების სწავლებისა და ცოდნის შეფასების საქმეს სპეციალისტმა ლექტორებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი.

კრება მოელოდა, რომ მომხსენებელი ფართოდ ილაპარაკებდა კათედრების მუშაობის საკითხზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ ზოგჯერ კათედრების ცალკეულ წევრთა შორის შეუთანხმებელი მუშაობა იგრძნობოდა.

პარტიული ბიურო საჭირო მუშაობას ვერ ეწეოდა სტუდენტების მიერ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის აღმოფხვრის საქმეში. ეს მაშინ, როცა უკანასკნელ პერიოდში გაცდენათა შემთხვევები გახშირდა. მაგალითად, 11 ნოემბერს IV კურსზე ენების განყოფილების ჯგუფში რუსული ენის ლექციას 18-დან მხოლოდ ერთი სტუდენტი ესწრებოდა.

მომხსენებელს არ გაუკეთებია ასპირანტებთან ჩატარებული მუშაობის ანალიზი, მაშინ როდესაც ასპირანტურა ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიულმა ბიურომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა კომკავშირელ ახალგაზრდობასთან, ეს მაინც ვერ აკმაყოფილებს კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის მზარდ მოთხოვნილებას. ნაკლები ყურადღება ექცეოდა სტუდენტ-კომკავშირლების თვითშემოქმედებითი ძალების გამოვლინების საქმეს.

ფაკულტეტის დეკანმა კომუნისტმა ქ. ფადავამ აღნიშნა, რომ პარტიული ბიუროს და დეკანატის არასაკმაო კონტროლის გამო ლექციებს და სემინარებს აცდენენ არა მარტო სტუდენტები, არამედ ცალკეულ შემთხვევებში ლექტორებიც კი. განსაკუთრებით გახშირდა ლექციების მიტოვება საღამოს საათებში. მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განვლილ პერიოდში სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ გაშლილა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა ჯ. მგელაძემ, ნ. შენგელიამ, პროფ. ი. აბულაძემ, თ. ნაცვლიშვილმა, ბ. სილაგაძემ და სხვებმა.

არჩეულ იქნა პარტორგანიზაციის ბიუროს ახალი შემადგენლობა და საუნივერსიტეტო პარტკონფერენციის დელეგატები.

კრებამ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

გ. ჭიკაშვილი

ძირეული პრესის მუშაკთა დასახმარებლად

## კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგია კედლის გაზეთის კოლექტიური რედაქტორია. მისი ძირითადი ამოცანაა გაზეთის მთელი მიმდინარე მუშაობის სწორი ორგანიზაცია. გაზეთის რედაქტორთან ერთად სარედაქციო კოლეგია პასუხისმგებელია გაზეთისათვის იმ ორგანიზაციების წინაშე, რომლის ორგანოსაც ეს გაზეთი წარმოადგენს.

სარედაქციო კოლეგიის მოვალეობაა: მოაგვაროს გაზეთის რეგულარული გამოსვლა დაწესებულ ვადებში, ფაკულტეტის ცხოვრების ყოველი მხარის გათვალისწინებით გაიაზროს გაზეთის ყოველი მომავალი ნომერი, მორიგი ნომრის მომზადებისა და გამოშვების საქმეში ჩააბას რაც შეიძლება ფართო აქტივი, იზრუნოს იმისათვის, რომ კედლის გაზეთის რედკოლეგიაში შემოსული არც ერთი მასალა არ იქნას დატოვებული ყურადღების გარეშე, დაუგვიანებლივ გამოეხმაუროს ფაკულტეტის ცხოვრებაში მომხდარ ამბებს.

მებრძოლი, ოპერატიული გაზეთის გამოსაშვებად საჭიროა კარგად მოეწყოთ მუშაობა სარედაქციო კოლეგიის შიგნით. მიზანშეწონილია სარედაქციო კოლეგიის წევრთა შორის ფუნქციათა განაწილება, რაც იმას ნიშნავს, რომ სარედაქციო კოლეგიის თითოეული წევრი პასუხისმგებელი იყოს მუშაობის განსაზღვრული უბნისათვის, თავს გრძნობდეს გაზეთის ხელმძღვანელობის მონაწილედ.

უმჯობესია, რედკოლეგიის წევრებს შორის ფუნქციები განაწილდეს განყოფილებების მიხედვით. ჩვენი უნივერსიტეტის სპეციფიკის მიხედვით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საფაკულტეტო კედლის გაზეთის რედკოლეგიაში შევიყვანოთ 7 ამხანაგი, ამათგან ორი ან სამი პარტიის წევრი, რომლებიც ძირითადად წარმართავენ გაზეთის მუშაობას და უხელმძღვანელებენ მასში პარტიული ცხოვრების ასახვას. უნდა შეიქმნას კომკავშირული ცხოვრების, პროფკავშირული და კულტ-საყოფაცხოვრებო მუშაობის განყოფილებები. ამ გაგებით ყოველი განყოფილება რედკოლეგიაში წარმოდგენილი იქნება რედკოლეგიის თითო ან ორი წევრით, რომლებმაც თავის ირგვლივ უნდა შემოიკრიბონ კორესპონდენტთა ფართო აქტივი.

იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე სასწავლო წლიდან ფაკულტეტებზე საკურსო კომკავშირული ორგანიზაციების ნაცვლად შეიქმნა ჯგუფის კომკავშირული ორგანიზაციები და შესაბამისად კურსბიუროების ნაცვლად არჩეულ იქნა ჯგუფბიუროები, საჭიროა გაზეთმა ყოველ ჯგუფში იყოლიოს თითო კორესპონდენტი მაინც, რომელიც გაზეთს დროულად მიაწვდის ჯგუფის ცხოვრების ამსახველ მასალებს.

სარედაქციო კოლეგიის წევრები ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მათდამი მინდობილი საკითხები სისტემატურად შუქდებოდეს გაზეთში, რომ გაზეთს ყოველთვის ჰქონდეს ამ საკითხებზე ცოცხალი და საინტერესო მასალა. სარედაქციო კოლეგიის თითოეული წევრი ადგენს თავის განყოფილების ხაზით სამუშაო გეგმას, მას განსახილველად წარუდგენს სარედაქციო კოლეგიას. განყოფილების გამგე თვითონ ამუშავებს, რედაქციას უკეთებს თავის განყოფილებაში შემოსულ მასალებს, ამზადებს მათ გაზეთში გამოსაქვეყნებლად.

სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ წევრს უნდა მიენდოს კედლის გაზეთის გაფორმება. მას, თავის მხრივ, შეუძლია შემოიკრიბოს რამდენიმე ამხანაგი, რომლებსაც ეხერხებათ ხატვა, ფოტოსურათების გადაღება, აქვთ ლამაზი და გარკვეული ხელი.

საფაკულტეტო კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები მარტო თავიანთი გაზეთის გამოშვებაზე ზრუნვით არ უნდა შემოიფარგლონ. ყოველი საფაკულტეტო გაზეთის რედკოლეგია ჩვენი უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ახალგაზრდა სტალინელის" კოლექტიური კორესპონდენტიც უნდა იყოს.

ნ. ბეთანიშვილი,
ალკკ კომიტეტის პრესის სექტორის ხელმძღვანელი.

# ვიშრომოთ, ვისწავლოთ, დავეუფლოთ ცოდნას!

## ვმუშაობ სამეცნიერო წრეში

ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში დამებადა საქართველოს ისტორიის ღრმად შესწავლის სურვილი. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემი მისწრაფების შესაბამისად სწავლა განვაგრძე ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

თავიდანვე ენერგიულად მოვკიდე ხელი საყვარელ საქმეს. ყურადღებით ვუსმენდი ლექციებს, სისტემატურად ვემზადებოდი სემინარებისათვის.

თავიდანვე გავითვალისწინე, რომ საქართველოს ისტორიის საფუძვლიან შესწავლაში დიდ დახმარებას გამიწევდა ბერძნული ენა. ამ მიზნით აქტიურად ვმონაწილეობდი კლასიკური ენების სამეცნიერო წრეში. ამ წრეში დავამუშავე და წავიკითხე თემები: „ქანები" და „მცხეთის ბერძნული წარწერები".

1951 წლიდან ვარ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო წრის წევრი, ვესწრები ყოველ სხდომას. წრის სხდომაზე წავიკითხე მოხსენება თემაზე: „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში".

სტუდენტთა ჯ-16 სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მივიღე მოხსენებით: „მცხეთა—ქართლის უძველესი დედაქალაქი".

წელს საწარმოო პრაქტიკაზე ვიყავი სამხრეთ ოსეთში, იქ წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებზე, სადაც ბევრი რამ საინტერესო გავიგე და შევისწავლე. პრაქტიკაზე ნახულისა და შესწავლილის საფუძველზე ამჟამად ვამუშავებ თემას—„ქულბაქევის ენეოლითი".

ყოველივე ეს დიდად მეხმარება მაღალი აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლაში.

**გ. ფხაკაძე,**
ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

## მომზადებული შევხვდეთ საგამოცდო სესიას

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი და კათედრები, ფაკულტეტის პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დროულად შეუდგნენ ზამთრის საგამოცდო სესიისათვის სამზადისს. უმოკლეს ხანში თითოეულ სტუდენტამდე დაყვანილი იქნება საგამოცდო პროგრამები. ა. წ. 1 დეკემბრისათვის შევადგენთ საკონსულტაციო და საგამოცდო ცხრილებს და გავატარებთ ყველა სხვა საჭირო ღონისძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საგამოცდო სესიის ორგანიზებულად ჩატარებას. მაგრამ მარტო ოფიციალური ღონისძიებების ჩატარება არაფერს მოგვცემს, თუ თითოეული აკადემიური ჯგუფი, ყოველი სტუდენტი ამთავითვე არ გაიაზრებს ამ მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანის მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით. ამ მხრივ ფაკულტეტის დეკანატი დიდ დახმარებას ელის ფაკულტეტის კათედრებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. საგამოცდო სესიებისათვის მზადების საქმეში ქმედით დახმარებას ველით აგრეთვე ჯგუფის აგიტატორებისა და საფაკულტეტო კედლის გაზეთების—„სტალინური გზით" და „ელვის" რედაქციებისაგან. ბუნებრივია, ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ და კათედრებმა საგამოცდო სესიისათვის მზადებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ I კურსის სტუდენტებს, რომელთაც ჯერ-ჯერობით ნაკლებად აქვთ გამომუშავებული წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები და ხშირად ერკვევიან საგნის მთლიანად ჩაბარების სპეციფიკაში.

ზამთრის საგამოცდო სესიის ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების ერთ-ერთ წინაპირობას სტუდენტთა მიერ საგამოცდო საგნებში სისტემატური მუშაობა წარმოადგენს. ე. წ. „ირიშობანი", ისე როგორც ყველა საქმეში, აქაც უხარგებლო აღმოჩნდება. ფაკულტეტის დეკანატს საკმაოდ ხშირად მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ჩვენი ფაკულტეტის რიგი სტუდენტები სისტემატურად არ მუშაობენ, დავალებებს არ ასრულებენ, სემინარებზე მოუმზადებელი ცხადდებიან. ასე მაგალითად, სისტემატურად არ მუშაობენ ზოოლოგიაში II კურსის სტუდენტები: თ. ენუქიძე, ზ. კეკელიშვილი და სხვ., რუსულ ენაში — III კურსის სტუდენტები: ნ. აბაშიძე, გ. ხანებლიძე, ლ. კობაიძე და სხვ. ამავე საგანში ცუდად მუშაობენ II კურსის სტუდენტები: გ. ულიჩავა, ო. ჩხაიძე, ე. ტაბიძე, ბ. ხორავა, ო. ჯაბაია და სხვ. საჭიროა აღნიშნულმა სტუდენტებმა დაძლიონ სიზარმაცე და აკადემიურად მოწინავე სტუდენტებს ამოუდგნენ გვერდში.

ცნობილია, რომ საგამოცდო სესიის სამზადისისა და ორგანიზებულად ჩატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მხრივ ფაკულტეტზე საკმაოდ დიდი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ სტუდენტთა მიერ გაცდენილი საათების რაოდენობა მაინც საკმაოდ დიდია. გაცდენების მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან შემდეგი აკადემიური ჯგუფები: I კურსის მე-6 და მე-8 ჯგუფები, II კურსის მე-13 და მე-18 ჯგუფები, III კურსის მე-15, მე-17 და მე-19 ჯგუფები; ცალკეული სტუდენტებიდან ხშირად აცდენენ ლექციებს ა. ქანთარია, მ. ხუხუაძე, ლ. გულიაშვილი, ნ. მარტაშვილი, რ. პატარაია, მ. კვანჭახია, გ. გულორია, ბ. ფილია, თ. ნინუა, ა. თოდუა, გ. ულიჩავა, მ. ინჯიახებაძე, ლ. ქარსელაძე, გ. კალანდაძე, ო. ხიდაშელი და სხვები. საჭიროა ფაკულტეტის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციის ბიურომ (ბიუროს მდივანი ამხ. ა. ვასუა) დეკანატს უფრო ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ყველა ზომას მიიღებს, რათა უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას—ზამთრის საგამოცდო სესიას მომზადებული შეხვდეს და მაღალ დონეზე ჩაატაროს იგი.

**დოც. ი. ჯიბლაძე,**
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

## სადიპლომო შრომები აქტუალურ თემებზე

საინტერესო მუშაობას აწარმოებენ ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც წელს ამთავრებენ სწავლის კურსს. მათი სადიპლომო შრომების თემატიკაში სათანადო ასახვას პოულობს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი. ხელმძღვანელობენ რა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალმარტის პლენუმების დადგენილებებით, სტუდენტები დიდ ყურადღებას უთმობენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებს.

ფრიადოსანი სტუდენტი, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ლამარა ჯოხაძე ამუშავებს თემას ვაზისა და ნაყენი მიწების ათვისების შესახებ. თინათინ ჯინჭველეიშვილის სადიპლომო შრომა ქალაქ რუსთავის კარტოფილ-ბოსტნეულის ბაზის შექმნის ეკონომიკას ეხება.

საინტერესო თემა აირჩია ფრიადოსანმა სტუდენტმა ოთარ ქავჟაძემ — „სოციალისტური სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია საქართველოს სსრ მაგალითზე". ხელმძღვანელის პროფ. ნ. ოაშვილის დახმარებით მან საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ შეადგინა სადიპლომო შრომის გეგმა და გარკვეული ნაწილი უკვე დაწერილიც აქვს. სადიპლომო შრომაში განხილული იქნება საკითხი ფერმობის ყოველ ერთეულზე კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის შესახებ, ნაკლებ ინტენსიური კულტურების უფრო მაღალი ინტენსიურობის მქონე კულტურებით შეცვლის, სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის შესახებ და სხვ.

კარგა ხანია მუშაობს დიღმის საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე მეხუთეკურსელი ვეტიხი შუბითიძე. იგი წერს სადიპლომო შრომას თემაზე: „დიღმის საბჭოთა მეურნეობის წლიური ანგარიშის ეკონომიური ანალიზი". ეს მეურნეობა ამარაგებს რესპუბლიკის დედაქალაქს ხილ-ბოსტნეულითა და სუფრის ყურძნით. ამხ. შუბითიძეს გადაწყვეტილი აქვს შეისწავლოს, თუ რა გარდაქმნები მოხდა დიღმის საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკაში ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალმარტის პლენუმების დადგენილებათა პრაქტიკულად განხორციელების შედეგად. ამ მიზნით იგი საწარმოო პრაქტიკას აღნიშნულ მეურნეობაში გაივლის და სადიპლომო შრომასაც იქვე დაიცავს.

**ნ. კიკნაძე**

## სანიმუშო სტუდენტი

ზუსტ მეცნიერებათა შორის მათემატიკა ერთ-ერთი რთული მეცნიერებაა, რომლის ათვისება და საფუძვლიანი შესწავლა თანმიმდევრულ და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. ეს კარგად აქვს შეგნებული მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს ლევან ქიქიაშვილს. იგი დაუღალავად შრომობს, რათა მთელი სიღრმით დაეუფლოს არჩეულ პროფესიას. ლევანმა პირველი კურსიდანვე მიიქცია ყურადღება, როგორც ენერგიულმა და მოწინავე კომკავშირელმა ახალგაზრდამ. დღემდე ჩაბარებულ ოცდარვა საგანში ქიქიაშვილს ოცდარვა ფრიადი აქვს მიღებული. მაგრამ მისი მუშაობა მარტო მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით როდი ამოიწურება: მუშაობდა ჯერ აგიტატორად, შემდეგ კურსის ალკკ ბიუროს წევრად. ამჟამად არის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს წევრი და მათემატიკის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე.

როგორც ყოველთვის, ლევანი ახლაც ჩვეული მონდომებით ემზადება მოახლოებული ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის. გამოცდების პერიოდში იგი უფრო თავისუფალი იქნება, ვიდრე სხვა სტუდენტები. ეს იმიტომ, რომ იგი ყველა საგანში თავიდანვე სერიოზულად მუშაობდა.

**რ. კვერენჩხილაძე**

## აღმოვფხვრათ ლექცია-სემინარების გაცდენის შემთხვევები

არ შეიძლება სტუდენტმა მიიღოს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, თუ სისტემატურად და გულდასმით არ მოისმენს ლექციებს, აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებს სემინარულ მუშაობაში, სისტემატურად არ იმუშავებს ლაბორატორიაში და აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებს ფაკულტეტის ცხოვრებაში, მაგრამ სტუდენტისათვის აუცილებელი ეს ძირითადი მოვალეობანი ყველას როდი აქვს შეგნებული.

IV კურსის სტუდენტებს — ქ. არაბიძეს, თ. ხარაძეს, ე. გოგიჯანაშვილს, ლ. ანდრიაძეს; მეორეკურსელებს — მ. მაღრაძეს, დ. ფალავანდიშვილს ამგვარი მუშაობა ზედმეტად მიაჩნიათ. სასწავლო წლის დაწყებიდან სულ ორთვენახევარი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მ. მაღრაძეს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აქვს 59 საათი; ლ. ანდრიაძეს—55 საათი, დ. ფალავანდიშვილს — 38 საათი, ქ. არაბიძეს კი—32 საათი.

ე. გოგიჯანაშვილი და თ. ხარაძე დღემდე მხოლოდ ორჯერ გამოცხადდნენ ლაბორატორიებში. აღსანიშნავია ის ამბავიც, რომ ზემოაღნიშნულ სტუდენტებს ყოველ სემესტრში რჩება დავალიანებად რამდენიმე საგანი.

ქიმიის ფაკულტეტის პროფბიურო ფაკულტეტის სხვა ორგანიზაციებთან ერთად გარკვეულ მუშაობას ატარებს ფაკულტეტზე სასწავლო დისციპლინის განმტკიცებისათვის. რამდენჯერმე განიხილა თავის სხდომაზე ლექცია-სემინარების გამცდენ სტუდენტთა საკითხი, მაგრამ სასურველი შედეგი კიდევ ვერ მივიღეთ. საჭიროა დეკანატმა და კომკავშირის ორგანიზაციამ საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად გახადოს ამ სტუდენტთა მოქმედება.

**ზ. ლომსიანიძე,**
ქიმიის ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე.

## მეთი ღეთის მეგობრები

დილის ცხრისნახევარი იქნებოდა...

— მზია!—გაისმა ეზოში და კარებიდან ცისფერთვალებიანი გოგონა მკვირცხლად გამოვიდა, მოსულს მეგობრულად გაუღიმა... მათ ეზოს ალაყაფის კარი გაიარეს და ქუჩა სწრაფად გადაჭრეს.

უნივერსიტეტის მეორე კორპუსის შესასვლელთან ძია სოსოს პატარა შინდისფერი წიგნაკები გადაუშალეს და აუდიტორიისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ...





ლექციაც დაიწყო... პირველი, მეორე, მესამე... გადიოდა სალექციო საათები... ლექციების წერით იღლებოდა მაჯა, მაგრამ ისინი ამ დაღლას ვერ გრძნობდნენ, მათი ყურადღება ლექტორის საინტერესო საუბარს დაემორჩილებინა...

ელექტროზარის უკანასკნელი გაჭკარუნებაც და კორპუსის დერეფნები შემოსასვლელისაკენ მიმავალ სტუდენტთა ნაკადით გაივსო. მზია და ციცინოც აუდიტორიიდან გამოვიდნენ და ორგანული ქიმიის ლაბორატორიისაკენ გაეშურნენ.

ქიმიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები კარგად იცნობენ ამ ორ ტანმორჩილ, მაგრამ მეტად ენერგიულ და შრომისმოყვარე მეგობარს.

ციცინო თურმანიძემ და მზია კუბლაშვილმა, რომლებიც ბავშვობის განუყრელი მეგობრები არიან, ოქროს მედალზე დაამთავრეს აკ. წერეთლის სახელობის საჩხერის საშუალო სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისისაკენ გამოემგზავრენ...

ქიმიის ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ მათ მთელი სერიოზულობით შეიგნეს, თუ რაოდენ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა, რომ საჭიროა რაციონალურად იქნეს გამოყენებული თითოეული საათი და წუთი, რომ სტუდენტის წარმატების მთავარი პირობა მისი დღის რეჟიმის სწორად დაგეგმვაში მდგომარეობს.

ციცინო და მზიაც უნივერსიტეტში ჩარიცხვის პირველი დღიდანვე მუყაითად შეუდგნენ სწავლას. სისტემატურად ესწრებიან ლექციებს, ყოველდღიურად ამზადებენ ლექციებზე მოსმენილ ახალ მასალას, კითხულობენ მითითებულ ლიტერატურას.

ციცინოს და მზიის ხშირად შეხვდებით ჩვენი უნივერსიტეტის კაბინეტ-ლაბორატორიებში, სტუდენტთა სამკითხველოში და, როდესაც თანაკურსელები მათ დაუცხრომელ შრომას ხედავენ, ხშირად სწავლის ნოვატორებად „ნათლავენ" მათ.

მართლაც და გასაოცარია მათი შრომისმოყვარეობა. უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრებაში თითქმის ყველა უბანზე შეხვდებით ამ ორ მეგობარს.

ნაყოფიერ სწავლასთან ერთად მზია და ციცინო კომკავშირულ და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც მოწინავენი არიან, როგორც კარგი აქტივისტები ჯგუფის კოლექტივმა ციცინო თურმანიძე ჯგუფბიუროს მდივნად აირჩია, ხოლო მზია კუბლაშვილი—ფაკულტეტის პროფბიუროს წევრად.

მათი დროის ბიუჯეტის ნაწილი ამ უბანზე მუშაობას აქვს დათმობილი. ისინი, როგორც ფაკულტეტის კოლექტივის ერთ-ერთი აქტიური წევრები, იბრძვიან ფაკულტეტის ცხოვრებაში ნაკლოვანებათა გამოსავლინებლად, მათი ლიკვიდაციისათვის.

ციცინოსა და მზიას არანაკლებ ინტერესებს და იზიდავს არაორგანული ქიმიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მუშაობა. მართალია, ისინი ეს ესაა რაც სამეცნიერო წრის მუშაობაში ჩაებნენ, მაგრამ კარგად აქვთ შეგნებული წრეში მუშაობის მნიშვნელობა.

სამეცნიერო წრე მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვევათა გამომუშავების საუკეთესო სკოლაა, რომელიც ესოდენ აუცილებელია მომავალ პრაქტიკულ მუშაობაში.

უნივერსიტეტში მუშაობისაგან თავისუფალ დროს მეგობრები უქმად არ კარგავენ. სისტემატურად ესწრებიან კინოებსა და სპექტაკლებს, უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტთა საღამოებს.

ისინი საჭირო ყურადღებას უთმობენ ჟურნალ-გაზეთების და მხატვრული ლიტერატურის კითხვას, რაც ხელს უწყობს მათი ზოგადი განათლების საფუძვლიან გაღრმავებას, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას.

ახლოვდება ზამთრის საგამოცდო სესიები. ეს განსაკუთრებით აღელვებთ პირველკურსელებს, მაგრამ მზია და ციცინო ღრმად არიან დარწმუნებული იმაში, რომ სემესტრის განმავლობაში სისტემატური და დაძაბული მუშაობა სათანადო ნაყოფს გამოიღებს.

**გ. სამსონაძე**

სურათებზე: ქიმიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები ც. თურმანიძე და მ. კუბლაშვილი არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობისა და დასვენების დროს.

ფოტო ვ. მჭედლიშვილისა

# ხვედრი ორი სამყაროს ახალგაზრდობისა



## იქ, სადაც ცხოვრება ჩქეფს

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ხაამური გახადა ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყველა პირობა შეუქმნეს ჩვენს ახალგაზრდობას, წარმატებით დაეუფლოს მეცნიერებას, ტექნიკას, ცოდნას. საბჭოთა სტუდენტისათვის იქება მეცნიერების შესანიშნავი, დიდებული სასახლეები, ფართოვდება უმაღლესი სასწავლებლების ქსელი, დღითი-დღე იზრდება და მტკიცდება მისი მატერიალური ბაზა. საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება ჩვენი ხალხის კულტურის წინსვლის საქმეს, ჩვენი ახალგაზრდობის საბჭოური მეცნიერებით შეიარაღების საქმეს, მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ამოცანებს.

საბჭოთა სტუდენტობა მთელ ხალხთან ერთად ეწევა მშვიდობიან შრომას, იბრძვის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა სტუდენტი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტია. ჩვენი სტუდენტობის პატრიოტიზმის მკაფიო გამოხატულებაა მათი სურვილი უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდნენ იქ, სადაც საჭიროა კადრები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავს ახალგაზრდობის მტკიცე ცოდნით შეიარაღებისათვის. ომისშემდგომი მარტო ხუთი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შექმნილი იქნა 150 ახალი უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო სტუდენტთა რიცხვი 1952 წლისათვის მილიონ 400 ათას კაცს აღემატებოდა. ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა სასწავლებლებმა მარტო 1952 წელს გამოუშვეს 221 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის და ახლად მიიღეს 375 ათასი კაცი.

საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად დღეს მშვიდობის მებრძოლთა ავანგარდში დგას და თავდადებით შრომობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობა.

ამ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის დამყარებით ძირფესვიანად შეიცვალა ახალგაზრდობის ცხოვრების პირობები, მათი მორალური სახე. სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ, კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ახალგაზრდობას შეუქმნეს ყველა პირობა, დაეუფლონ მეცნიერებას, ცოდნას, ტექნიკას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი, იცვლება სტუდენტთა კლასობრივი შემადგენლობა, უმჯობესდება სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ამჟამად 86 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიაც მეცნიერების საფუძვლებს ეუფლება 121 ათასზე მეტი ახალგაზრდა. ამ ახალგაზრდობის 60 %-ს მუშა და გლეხი ახალგაზრდობა შეადგენს.

1953 წელს ჩეხოსლოვაკიის უმაღლესმა სასწავლებლებმა 7 100 სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, ხოლო უნგრეთის უმაღლესმა სასწავლებლებმა 6 100 სპეციალისტი გამოუშვეს.

დღითიდღე მტკიცდება დემოკრატიული ბანაკის, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს, სტუდენტთა მეგობრობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნებს შორის კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის.

დემოკრატიული ბანაკის სტუდენტობა მსოფლიო სტუდენტების მოწინავე რაზმია, რომელიც ყოველი ღონისძიებით ამტკიცებს კავშირს კაპიტალისტური ქვეყნების სტუდენტობასთან. ისინი ერთიანი ძალით იბრძვიან მტკიცე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

ვ. ქარუმიძე



## „ყვითელი ეშმაკის" ქვეყანაში

აშშ-ის მმართველი წრეები ისწრაფვიან საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ყოველი უბანი ახალი ომის გაჩაღების კერად აქციონ.

ამიტომ ამერიკაში უმაღლესი სასწავლებლები და კოლეჯები მოკლებული არიან დამოუკიდებელ არსებობას. მათზე მბრძანებლობს იმ კაპიტალისტთა მცირე რაოდენობა, რომელთა ხელშიაც თავმოყრილია მთელი აშშ-ის ეკონომიკის უმეტესი ნაწილი, რომლებიც განაგებენ ამერიკის რეაქციულ პოლიტიკას.

ასე მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის ოფიციალური ბატონპატრონი არის მორგანი, რომელსაც ეკუთვნის ისეთი მონოპოლიები, როგორიცაა „სტანდარტ ოილ ოფ ნიუჯერსი", „ჯენერალ ელექტრიკი" და „იუნიონ კარბიდ ენდ კარბონ კორპორეიშნი".

პიტსბურგის უნივერსიტეტი ეკუთვნის მელონს, კოლუმბიის უნივერსიტეტს ფლობს ბანკი „ნეიშნლ სიტი ბენკი" და ა. შ. ეს ის პირები და დაწესებულებებია, რომლებიც თავიანთი კაპიტალით უშუალოდ ახორციელებენ ამერიკის სამხედრო წრეების აგრესიულ პოლიტიკას და ამიტომ მათ ხელქვეით მყოფი უმაღლესი სასწავლებლების მთელი მუშაობაც აგრესიის სამსახურშია ჩაყენებული.

ასეთ პირობებში ბუნებრივიცაა, რომ იქ უნივერსიტეტების პრეზიდენტებად და კოლეჯების მმართველებად სამხედრო პირები — გენერლები და ადმირალები ინიშნებიან, რომელთა უპირველეს მოვალეობას სტუდენტებისაგან სათადარიგო ოფიცრების მომზადება შეადგენს.

სამხედრო დისციპლინებს უპირატესი როლი უჭირავთ ამერიკის მთელი უმაღლესი განათლების სისტემაში.

დღევანდელი აშშ-ის უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა ატომისა და წყალბადის ბომბების ნაირსახეობათა გამოგონების ბაზად იქცა.

გასულ წელს აშშ-ში გამოქვეყნებულ წიგნში—„მილიტარიზმი და განათლება" ნათქვამია, რომ მხოლოდ 1949 წელს ამერიკის მთავრობამ უნივერსიტეტებში სამხედრო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე 160 მილიონი დოლარი დახარჯა, ხოლო 1951 წელს კი დოლარის ისეთი რაოდენობა, რომელიც 2 — 2,5-ჯერ აღემატება 1945-1950 წლებში ამავე მიზნებისათვის დახარჯულ თანხას.

განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს აშშ-ის უნივერსიტეტებში და კოლეჯებში რასიული სეგრეგაცია.

ზანგებისათვის და სხვა ფერადკანიანებისათვის უმაღლესი სასწავლებლების კარი დახურულია. აქ მოვიყვანთ ერთ აზრს, რომელიც გამოთქმულია კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ წიგნში „მეცნიერი კადრებისა და სპეციალისტების მომზადება". წიგნის ავტორები წერენ, რომ დისკრიმინაცია „სულ უფრო უკიდურესად ზღუდავს ზანგებისათვის გარკვეული პროფესიის დაუფლების შესაძლებლობას. შედარებით ცოტა ზანგი შედის სასწავლებელში და შემდეგ მათი უმეტესობა იძულებულია დატოვოს სასწავლებელი ჯერ კიდევ დიპლომის მიღებამდე".

ეს გამოწვეულია იმ შევიწროებით, რომელსაც განიცდიან ზანგები და სხვა ფერადკანიანები.

ეს შეზღუდვანი ზანგებს თან მიჰყვებათ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც. მაგალითად, ზანგი მასწავლებელი (რაც იშვიათია) გაცილებით ნაკლებ ხელფასს ღებულობს, ვიდრე თეთრკანიანი,—და იმასაც არასისტემატურად.

უმაღლესდამთავრებულ ზანგთა უმეტესობა კი საერთოდ უმუშევარია. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ საბჭოთა ჟურნალისტი მორევი:—„ერთხელ ნიუ-იორკის ერთ-ერთ მაღალ შენობაში ლიფტით ავდიოდი... უცბად მომესმა, რომ ვილაც დაბალი ხმით, მაგრამ არაჩვეულებრივი მელოდიურობით უსტვენდა ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიის ფინალს. ვიცოდი რა, რომ ამერიკლები დიდ პატივს სცემენ მუსიკალურ კულტურას და, რომ კლასიკური მუსიკის ცოდნა დიდ პრივილეგიას წარმოადგენს მდიდარი ამერიკელისათვის, მე ინტერესით მოვავლე თვალი იქაურობას.

ფინალის მშვენიერ მელოდიას უსტვენდა ახალგაზრდა, ლამაზი, ჭკვიანი გამომეტყველების მქონე ზანგი მელიფტე. მე მას შევეკითხე, თუ საიდან იცოდა ჩემი დიდი თანამემამულის მუსიკა. მის სახეზე მწარე ღიმილმა გადაირბინა.

—მე უმაღლესი განათლებითა ვარ!— წყნარად მიპასუხა მან..." აშშ-ში დიპლომიან ზანგს ძნელად თუ შეხვდები, მაგრამ მისთვისაც არ არსებობს სამუშაო ამერიკაში.

მიუხედავად ასეთი რეაქციული რეჟიმის დამყარებისა უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში, ამერიკელი პროგრესული ახალგაზრდობის ხმა სულ უფრო და უფრო ძლიერდება; მათი ფიქრები და მიზნები მშვიდობის ბანაკის აქტიურ ბრძოლას უერთდება; ისინი მკაცრი პროტესტით ილაშქრებენ თავიანთი ქვეყნის რევანშისტების, მილიტარისტებისა და ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ისინი მოითხოვენ მშვიდობას.

ბ. მიხელიძე




## შეჯიბრება ფრენბურთში



რამდენიმე დღეა რაც უნივერსიტეტის ფრენბურთის მოედანზე მიმდინარეობს შეჯიბრება ფიზიკის ფაკულტეტის პირველობაზე ფრენბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილე ვაჟთა გუნდები დაყოფილია ორ ჯგუფად, I ჯგუფში ოთხივე თამაში მოიგო და პირველ ადგილზე გავიდა I კურსის (რუსული სექტორი) ვაჟთა გუნდი. II ჯგუფში ასევე გამარჯვებული გამოვიდა IV კურსის (რუსული სექტორი) ვაჟთა გუნდი.

დაძაბულად მიმდინარეობს ქალთა გუნდების (4 გუნდი) შეხვედრებიც. ქალთა შორის II და IV კურსის გუნდებმა ჯერჯერობით მხოლოდ თითო დამარცხება განიცადეს და მათი შეხვედრა გადაწყვეტს, თუ ვინ იქნება ფაკულტეტის ჩემპიონი.

დღეს ჩატარებულ იქნება ფინალური შეხვედრები ვაჟთა გუნდებს შორის.

სურათზე: I და IV კურსის სტუდენტ ფრენბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ო. არობელიძისა

## საქართველოს პირველობა ფარიკაობაში

დიდი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის მაყურებელთა შორის თბილისის „დინამოს" სპორტულ თამაშობათა დარბაზში ჩატარებულმა შეჯიბრებამ საქართველოს 1954 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე ფარიკაობაში.

აქ, საფარიკაო ბილიკებზე, პირველობაში ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მოფარიკავეები— „ნაუკის", „ისკრის", „მედიკის" და „დინამოს" გუნდების წარმომადგენლები. შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე თბილისის განათლების განყოფილების მოფარიკავეთა გუნდიც.

დაძაბული ბრძოლების შედეგად, რომელიც ძირითადად „ნაუკისა" და „ისკრის" გუნდებს შორის ჩატარებული შეხვედრით აღინიშნებოდა, I ადგილზე (7 საჯარიმო ქულა) „ნაუკის" ძლიერი კოლექტივი გამოვიდა, რომელმაც 3 პირველი და 2 მეორე ადგილი მოიპოვა, მეორე ადგილზე გამოვიდა „ისკრის" გუნდი, მესამეზე—„მედიკისა" და მეოთხეზე—„დინამოს" გუნდი.

აღსანიშნავია, რომ „ნაუკის" გუნდი ძირითადად ჩვენი უნივერსიტეტის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული და მათმა უმრავლესობამ დამსახურებულად მოიპოვა საპრიზო ადგილები. ასე მაგალითად: ქალთა შორის, რაპირაში საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა ჯ. ზენაიშვილმა (ბიოლოგიის ფაკულტეტი); III ადგილი კი წილად ხვდა ნ. კიკნაძეს (უნივერსიტეტის სპორტკლუბი). ამავე სახეში ვაჟთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონობა წილად ხვდა გ. ჩხაიძეს (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი). ესპადრონში II ადგილზე გამოვიდა უნივერსიტეტელი ნ. ასათიანი, III ადგილზე კი—სტუდენტი ზ. ბოლაშვილი.

ჩვენი უნივერსიტეტის სპორტკლუბის წარმომადგენელმა კ. გოგელიამ დაშნით ბრძოლაში მეორე ადგილი მოიპოვა.

## შეხვედრა პრესის მუშაკთან

ამასწინათ ჟურნალისტიკის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ შეხვედრა მოუწყო გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილეს, პრესის გამოცდილ მუშაკს ამხ. ა. კოკილაშვილს.

შეხვედრაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა დოც. ტ. კვანჭილაშვილმა, მოხსენება გააკეთა სტუდენტმა ე. ბექაურმა, მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სტუდენტმა ვ. ჯავახაძემ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომლებმა დ. ლომთაძემ და დ. გველესიანმა.

ჟურნალისტიკის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ეს ინიციატივა—გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრები მოაწყოს საბჭოთა პრესის მუშაკებთან— უთუოდ მისასალმებელია.

დ. დემეტრაძე

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 2-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 18849.